

26 0063266

• ୪୨୯୩୦୮୧୧୫

JG 4

1886 ଜୁଲାଇ.

დესი „თეატრი“-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახვარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადით ხელის მო-
ქარა არ მიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა დის სამი შეურია. ხელის მოქარა მიღება: თბილისში
„თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:
თифლის. Въ редакцію „Театръ“.

ପ୍ରକାଶକ ନାମ ଓ ଠିକ୍କା

1886

ପ୍ରକାଶକ; 19 ଅନ୍ତର୍ଜାଲ

δαβαφούσο

2. 2. ლავაროვი-აბაშიძე

ქართველი დოკაზიტიული დასისაგან წარმოდგება იშება:

I

ડ એન્ટોગ્રામ ફલી

Համեր. 3 թուժեր.

III

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

2 ແລະ 3 ສົກເງິນາ (4 ມອງໜີມູນຄະດີບີໂຫຼວມ)

三

၃၉. ကုန်မီဒုဒ်၊ စွဲ။

ဒေဝါရီ၏ ၁ မြေဆိပ်၊

၁၂၃

લાગુણ

ადგილების თანხი საბუნებრივისად

დასაწყისი 8 საათზე.

სელის მოწერა მიიღება მხოლოდ „ოქაზ-
ნი“-ს რეაქციული.

ଶାନ୍ତିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

უმთავრესი მიზეზი ქართულის სცენის სამწუხა-
რო მდგომარეობისა არის სიღარიბე ჩვენი რეპერტუ-
რისა. მრისთავმა და ანტონოვმა თავიანთი ღრო გა-
დაჭამეს და თითქმის ყველას კბილები დაჭრეს. სა-
მუჯამოდ ქართული სცენის დაარსებამ თითქმის იძ-
ენი დრამატიული მწერლები დაპატა, რამდენიც
ქართული ანბანის მცოდნეა ჩვენში, მაგრამ ამ დრა-
მატიულ მწერალთა აუარებლობამ ერთხელ კიდევ
თვალ-ნათლივ დაგვანახვა უკვდავი პოეტის სიტყვების
კეშმარიტება: «ოდეს ტურფა გაიაფდეს ალარ ლირდეს
არცა ჩირად! ახალი ღროის მწერალთა შორის შე-
იძლება დავასახელოთ მარტო პკაკი და ცაგარელი,
მხოლოდ ამათმა პიესებმა დაიჭირეს ქართულს რე-
პერტურში შესამჩნევი ალაგი, მაგრამ, მოგეხსენე
ბათ, პატარა სოფელში ბეგარა ხშირად მიერგებათ
ხოლმე და, როგორც რუსები ამბობენ, ამათ პიესები
იმდენი ხელნეს, რომ ჯაგლაგბეს დაამსგავსეს. ამათ

გარე ჩვენს რეპერტუარში დარჩა, მართლა და, დიდი რიცხვი ნათარგმნი პიესებისა უფრო რესულიდამ. ღმერთო ჩემო, ენ სთარგმნის, ჩაეშს სთარგმნის და რა ენითა სთარგმნის? დაულალავმა მთარგმნელებმა ქართული რეპერტუარი სწორედ ზღაპრულს ავგიოსის ბოსელს დაამგავსეს, რომელსაც ახალი გერკულესი ეჭირვება, რომ ამთდენა ნაგვისაგან გასწმინდოს. პრ ვიცით ჩვენი პატივცემული დრამატიული საზოგადოება შესძლებს თუ არა გერკულესობას, მაგრამ ეს ძნელი საქმე კი მას ვერ ასცდება.

12 იანვარს, კვირა საღამოზედ, ჩვენმა დასმა წარმოადგინა რესულათ ნათარგმნი ოთხ მოქმედებიანი და ხუთ სურათიანი დრამა „მგოსანი“. ამ ახირებულის პიესის მაყურებელს შეუძლიან მხოლოდ, სთქვას: „დავჯებ და ბევრი ვიტირე, ზედ მიეაყარე ქვა წვრილი!“ მართულ სცენაზედ დადგმულს პიესას უკეთესად თრში ერთი ლირება უნდა ჰქონდეს: იმან ან უნდა, ჩვენს ნაღვლიანს და „პრიკაზისა“ და ბანკის ვალებისაგან წელში მოხრილს საზოგადოებას პატარა ხანს მაინც გადუყაროს, შეუმსუბუქოს გულში ჩაწოლილი სევდა და გაამხიარულოს, ან არა და რამდენიმე ზნეობითი გაკვეთილი მისცეს, აუღნას, ან დააფიქროს მაინც ცხოვრების რომელიმე საინტერესო კითხვაზედ. „მგოსანისთანა“ დრამები არც პირველს მოთხოვნილებას აქაუთილებენ, არც მეორეს. თეალწინ გეხატებათ უბედური ცხოვრება ახალგაზდა პლესოვისა, რომელიც თავის საუბედუროდ მეზას სამსახურს გაუტაცნა და გვერდით ერთი თანამგრძნობელი არა ჰყავს და გულ შემატეკივარი. ზაჭირვებისაგან წელ-მოწყვეტილი ეცემა და მოწყალებასა სთხოვს მათ, ვის საქციელსაც ისე მეაცრათა ჰქმობდა. მერე სულ გლახავდება და ბოლომდე ათრებს მძიმე ბარგივით გაშრარებულს სიცოცხლეს, მინამ ღობის ძირში საღმე სული არ ამოსძერება. მაშინ სხეული იქნებოდა, რომ „მგოსანის“ გმირს ბოლომდე თავი გაეტანა და იმ ჯურის კაცად იყოს გამოხატული, რომელიც ჩვენს პოეტს თრი კალმის გასმითა აქვს დახატული:

«ჲა, წარმომიდგა მე თვალის წინა,
ზაჭირვებისაგან რომ ცრემლსა ჰლორიდა,
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი
ბოროტების წინ თავი არ იხრიდა!» .

თორებ რა გინდოდათ პლესოვის მწარე ხვედრით გეთქვათ საზოგადოებისათვის, რომელიც ისე ცხვირ აშლევით უყურებს ქართველი მწერლის ხელობას? (ზაიკითხეთ ახალ გაზეთს «ივერიაში» ეს

ამდენი სამდურავები ქართველს საზოგადოების წევენ რომელიც დირსეულს პატივს ვერა სცენას ლიტერატორს) ისა, რომ: სამსახური იჩინეთ, ჩინებს ხელი მოავლეთ, თორებ აი თქვენი ბოლო რა იქნებაო!.. დიალ, ბატონებო, მეც თქვენთან დარწმუნებული ვარ, რომ „მგოსანის“ ავტორს ეს სულელური აზრი არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ მე რომ ჩვენის საზოგადოების ლოგიკის ძალა ვიცი, რა ნაირი ახირებული დასკვნების გამოყვანა იცის ნახულიდამ და წაკითხულიდამ, დარწმუნებული ვარ, რომ სწორეთ ამ დასკვნას გამოიყვანდენ. უწერონელს და გაუნათლებელს გონებას ყოველთვის მსჯელობისთვის ეს იარაღი აქვს: post hoe, ergo propter hoe! პლესოვი იმიტომ გაუბედურდა, რომ პოეტი იყო! — მორჩია და გათავდა. ამაზედ ლრმად ველარ ჩასწევდება ნორჩი ჭკუა.

მოთამაშებზედ ბეჭრს არას ვიტყვით ბ. მესხიევმა თავით ბოლომდე ჩინებულად გაატარა პლესოვის როლი, ნამეტავად სცენა დაფინის ხესთან და მთელი უკანასკნელი მოქმედება შევენირად მოუვიდა. შენი მტერი, რომ უკანასკნელს მოქმედებაში, ახალგაზრდა ქალის, ვერას როლში ქ. საფაროვისა არ გამოსულიყო და არ გაეციცხლებინა მაყურებლები, უუდად იყო საქმე. ბ. ნ. საბუელი პირველად ვნახეთ სცენაზედ და თავის მოხდენილის თამაშობით (კომიკურს როლებში) ადვილად დაიმსახურებს საზოგადო სიმპატიას.

თოხშაბათს, 15 იანვარს, იყო ბ. მაქსიმიძის ბენეჭისი. წარმოადგინეს: ფირარდენის სამ მოქმედებიანი დრამა, «ორ ცეცხლ შეუ» თარგმნილი ფრანგულით ი. მაჩაბელისაგან; ერთი სცენა შილერის «შაჩალებიდამა», და ოპერეტა: „მეჯლისი იტალიანებით“. ხალხი ნაკლებად დაესწრო წარმოდგენაზედ. მს ბენეჭის მხოლოდ მითია შესანიშნავი, რომ თვით ბ. ბენეჭიციანტს, არაფერი როლი არა ჰქონდა პიესებში; ეს ბენეჭის უფრო პატარა ტასოს დარჩია (პბაშიძის ექვსის წლის ქალს, რომელიც პატარა შანას როლში გამოიყენეს. შანა ბევრჯერ გამოდის სცენაზედ და საკმაოდაც ლაპარაკობს. პატარა ტასოს სიმკირცელემ და გამშედებამ სცენაზედ სწორედ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რისთვისაც მაღლობა ტაშის კვრით და კანფერებით გადაუხადეს. მს შესანიშნავი ბავშვი ერთ ღრის საზოგადო ურადღებას მიიპყრობს. ოპერეტაზედ ცალკე მოვილაპარაკებთ.

დაგვთ სოსლანი.

ქვირას, 19-ს იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა «რაც გინახავს ვეღარ ნახავ» კომედია 3-ს მოქმედებათ თხულება პ. ცაგარლისა და ერთ მოქმედებიანი ვოდევილი «ბუტიაობა» პკაკი შერეთლისა. საერთოთ რომ თვალი გადავავლოთ პ. ცაგარლის პიესებს ორს უმთავრეს ნაკლულოვანებას შევამჩნევ, ურომლოთაც ყოველივე დრამატულ თხულებას თავის მნიშვნელობა და ღირსება ეკარგება. დრამატიულმა მწერალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი ემსახურება ხელოვნებას და არა იმ ხალხის გემოვნებას, რომლებსაც თეატრი ისე აქვს წარმოდგენილი, როგორც გასართობი ადგილი და მხოლოდ იმისთვის მოდის, თეატრში იყინოს და იხარხაროს. მწერალმა ხელოვნების საშუალებით საზოგადოებას უნდა ჩააგონოს, რომ თეატრი არის ის საზოგადო სკოლა, რომელსაც მხედველობაში აქვს ხალხის ზეობითი აეადმყოფობიდგან განკურნა. იმის თხზულება უნდა ეთანხმებოდეს ნამდევილს ცხოვრებას, რადგანაც მწერალს თეოთონ ხალხი ჰმადავს და არა მწერალი ხალხს. პ. პ. ცაგარელს თეატრალური ხელოვნება ბოლოს პლანზედ მოუქცევია, მხოლოდ ხალხის გებოვნებას კი პირველი ადგილი უჭირავს იმის პიესებში და თბილისის ქუჩებში გაგონილი სიტყვებით შემდგარი ლექსიკონი მაცერალთ სრულიად ავიწყებს, იმ აეტორის ნაკლულოვანებას, რომელიც დრამატიულს მწერალს არ მიეტევება. პი, მაგალითად ავილოთ «რაც გინახავს ვეღარ ნახავ». ამ პიესაში არც ერთი ტიპი არ არის სინამდვილით დახატული. არ ვიცით ვინ არის, ან რა კაცია მებატონე? თავადია, არც თავადი, სამხედროა, არც იმას წაგავს, მაშ ვინ არის? — კაცი, რომელიც უაზრო სიტყვებს ლაპარაკობს და თვითონაც არ იცის რასა შერება, ისე რომ მაცერალი ვერაფერ მარტივ აზრს ვერ შეადგენს. ან კიდევ იმის მეგობარი ზაქარია. პ. აეტორს ნდომია ვითომ ახალი აზრების კაცი დაქატნა, მაგრამ გამოუქით უნდა გითხრათ, რომ მაგვარ კაცს პირველს საუკუნებშიაც შეხვდებოდით, რომ ბედნიერება გვქონილა და მაშინ გაეჩინილიყავით. ახლა აეტორის იდიალებს და მეცხრამეტე საუკუნის კომუნისტებს მიემართოთ, რომლებიც სირაჩხანის ასპარეზედ მოქმედებენ და შუალამისას ბნელა ქუჩებში ფულიან კაცებს ელიან, რომ გაცარცონ.

პ. პ. ცაგარელი ისე იდიალურად გვიხატავს თბილისის პაჟარებს, რომ უცხო კაცს რომელიც არ იცნობ უმანკოების და სეინიდისიანობის შესახებ ამ საზოგადოებას უპირველესობას მისცემს, მაგრამ ვინც კი იცის იმათი ხელობა, უეჭველია აეტორს არ

მიუტევებს ამ გვარ შეხვდულობას რომელ ქართველი კინტოს აიღინ, რომ ქურდობით და ჯიშგრილობით არა სცხოვრობდეს, რომელსაც თბილისის ციხეები გვიმტკიცებენ, რომ მხოლოდ იმითი არიან საესტი. რაც შეეხება სომხებს პავტიქას, გულწრფელად უნდა ესთქოთ, რომ სინამდვილით და სისრულით არის დახატული ეს ტიპი, რომლის ხასიათი სრულიად ეთანხმება იმის მდგომარეობას. რაც შეეხება აზრს და კომელის აშენებას სწორედ რომ მოუაზრებელია, აზრს ბ. პ. ცაგარლის პიესებში სრულიად ადგილი არ აქვს და ბ. აეტორი სრულიად უმნიშვნელოთა სთვლის იმ საგანს, რომელიც აუცილებელს სავანს შეადგენს. ერთი სიტყვით მაცერალს მოსწონს იმის პიესები, როგორც სამასხარაო გასართობი და ლიტერატურულს ღირსებებს კი სრულიად მოკლებული არიან. მაცერალთ მოსწონს ბ. პ. ცაგარლის ლექსიკონი, რომელიც თბილისის ქუჩებშია გაგონილი და არა ხელოვნება და აზრი. პ. პ. ცეცვიძლიან არ მოვაგონოთ ბ. აეტორს, სად გაუგონა, ან სად უნახავს ესთი მშიშარა იმერელი, როგორსაც ისა ხატავს. იქამდის მიღის იმის სისუსტე, რომ თავის ჩრდილისა ეშინიან; ეს ჩენის აზრით დიდი შეცდომილებაა, რადგანაც გულადობაში იმერელი ქართველს არ ჩამორჩება; ან კიდევ ის სულელური გალუცინაცია, როდესაც იმერელი სკამს ელაპარაკება, სრულიად სინამდვილეს მოკლებულია; ეს მახინჯი სცენა სრულიად ამახინჯებს, მახინჯს პიესას.

რაიცა პკაკის „ბუტიაობას“ შეეხება, მხოლოდ იმის მჭევრ-მეტყველს ჭკუას შეეძლო დაეხატა ამ გვარი მარილიანი ხუმრობა, რომელიც სინამდვილესაც არ არის დაშორებული (უძახიე օს्टროუმიე). შევლა სცენა შემთხვევით ხდება და ხელოვნურად არის დახატული; ერთი სიტყვით ყველასფრით სრულია ეს ვოდევილი და ამ ვოდევილის მოსმენა თავის დღეში არ მოსწყინდებათ მაცერალთ.

რაიცა მოთამაშეთ შეეხება ყელამ სვინიდისიანათ შეასრულეს თავის როლები, განსაკუთრებით მ. საფაროვი-ბაშიძისამ, ნ. გაბუნიამ და ვ. აბაშიძემ, მაგრამ არ შეეგიძლიან არ შეენიშნოთ ბ. ნ. საბუელს, რომელიც კველა სიტყვის შემდეგ ზმუკუნებს და სრულიათ იკარგება ის ეფეკტი, რომლის დახატვაც ნათლად შეუძლიან ბ. მსახიობს, მაგრამ ამ სენის გამო სრულიად იკარგება სცენიური ილუზია. ერთი სიტყვით მოკლედ უნდა ესთქოთ, რომ ამ უკანასკნელმა წარმოდგენამ მეტად მხიარულად ჩაიარა, თუმცა ჩენიდა სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. მაგრამ გასამტყუნარნიც არ არიან, რად-

განაც ჩვენს იჯერიდათ ნარჩევთ ლიტერატორებს განუქახავთ «ივერიის» საშუალებით საქართველოს პოლიტიკა და არხეოლოგია აღადგინონ. ზარჩდა ყადისა და მირხებისა, სხვა გარეშე პირთ აღერძალული აქთ, ამ მაღალი დისტანციაში მისელა, რადგანაც შეიძლება დაუშალონ იმათ ფილოსოფიურს მსჯელობას; მერე ხუმრობა ხომ არ არის, მთელი ხალხის ბედი და უბედობა იმათზე დამოკიდებული. ეს ჩემო, ბატონებო, იმათ მაგირ ჩვენ ეიხდით ბოლოშს, რაღანაც იმათ იმოდონი დრო არ აქთ და არც ყურს უგდებენ მაგისთანა წვრიმალს საქმეებს.

• გაგოლა.

სახალილო

ახალ წელსა მოვილოცავ
ჩემო კარგო, ჩემო გერიტო,
ვისურვებ, რომ ახლა მაინც
ჩემთვის ტრფობა გაიმეტო.

— რათა მწუნობ, მე არ მესმის!
არ მაქეს განა ჯანი მთელი?
ან მაკლია გულში ცეცხლი
ვაჟკაცთა მამშვენებელი?

— ჩემო ციცუნ, ჩემო კიკუნ!
შენთვის ვკედები, ვკედები, ვკედები,
მხოლოდ შენა, ჩემო სულო
ჩემს გულს წამლად დაედები.

— სატრფოვ, რა ვქნა, რად მიყურებ
მაგრე ცივად, ეჭვის თეალით?
რა არ მოგწონს ჩემში მითხარ,
რომ მოეთხარო ნესტრის დანით.

— ჩემო ყველავ, ჩემო გიფო,
შენ გაქეს მხოლოდ ერთი წუნი:
მაგ დიდ სულთან, დიდია გულთან
შენ არა გაქეს დიდი ფული.

— მე კი ახალი ქალი ვარ,
მიყვარს მოღა, მიყვარს ფული
მდიდარს მახინჯს გამჯობინებ,
თუნდ რომ დამეტანჯოს სული.

რუსულის და უცხა სამდერების გაგრძელების მიზანი

რაც ჩვენ დედა-ქალაქში ოპერა შემოიღეს, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას სხვა-და-სხვა სიამოენება შეხვდა. რუსულმა ოპერებმა, კონცერტებმა, იტალიურმა ოპერებმა და კონცერტებმა და არა ნაკლები იმ გარემოებამაც, რომ სახელმწიფო სასწავლებლებში ჩვენებურ ყმაწვილებს რუსულ სიმღერებს ასწავლიან, დიდად შეეჩინა ხალხი გალობას და სიმღერას. მაგალითებისთვის შორს არ წავალ, უკელა ჩვენგანი ჯილ ბილ უ ბაბუშკი ცხრენკი კოვლიკ-ს ან და ვნიშვ მათუშე მოვლენ-ს უკრო იმღერის, ვიდრე ჩვენ საერო სიმღერებს. ხელოვნურ სიმღერებზე-დაც იგივე ითქმის რუსული სახალხო სიმღერები სახელმწიფო სკოლებს აღარ ცილდებიან, მაგრამ ხელოვნური სიმღერები კი საოცრად ვრცელდებიან, როგორც ოჯახებში, ისე ნასწავლ ყმაწვილობაშიაც. ვრცელდება თარგმნილი კი არა, როგორც რუსეთში მეროპული სიმღერები, თვითონ ორიგინალად, სახის შეუცვლელად. მს ხელავნური სიმღერები და სხვა-და-სხვა ოპერების ნაწყვეტები ქართულია თარგმნით, მუსიკის შეუშლელად, რომ ვრცელდებოდენ ჩვენ საზოგადოებაში კარგი იქმნება; ამით ჩვენ ხალხში, ამ განვრცელებასთანვე, კილოს თავის სიტვეით გამოთქმულს, თავის მუსიკის სამფლობელოში ათას ნაირად შეახამებს თავის საკუთარ კილოებს და ამ ნაირი დამუშავებით, ადგილობრივს მუსიკას განვითარებს.

ჩვენი ახალგაზდა პოეტები რომ დათარგმნიდენ იმ ხელოვნურ რუსულ სიმღერებს, რომელთაც დღეს მღერიან ჩვენ საზოგადოებაში დიდ სამსახურს გაუწევენ აქაურს ხელოვნებას. არც ერთი ოპერა-ციონი მათი დაბეჭდვის უარს არ იტყვის. მხოლოდ საჭიროა თარგმანს ორიგინალის სათაურიც ჰქონდეს რომ მკითხველს უცებ გაახსენდეს კილო. ამ გვარად არა თუ რუსულ ხელოვნურ სიმღერებს, არამედ უკელა უცხო სიმღერებს უნდა მოვემზროთ. თრიგინალი ტაეპის მარცვალთა რაცენობა თარგმანიც უნდა იქმნეს დაცული, რომ მუსიკა არ დაიკარგოს; თუ თარგმნილი სამღერალი ლექსი ამასთანავე გაირითება ამას რაღა ემჯობინება.

ერთი ამ გვარ ლექსთაგანი აქვე მომყავს. თარგმნილია ბ. სილოვანისაგან. რუსულად მგონია ასე იწყება: **Мხელი მ მ ლ ი ვ ე ვ ე თ ე ...**

* * *

მტრედის ფერ ცაზე მისცურავს მთვარე, ასე ვა მე ჩანგს ვამღერებ ტრფობით დაგული.

კურს მიგდებს მზოლოდ მე არე-მარე
და სატრიფო ჩემი სული და გული.

შენ სარკმელს ქვეშ ვდგავარ, გიცქერ
და შენი ცქერით ვტკბები;
საყვარელო გეტრეფი, გიმღერ,
შენ სახელს ვენაცვლები.

A decorative floral ornament consisting of three stylized flower petals arranged in a triangular pattern.

Ամենց պաշտոնական հաջո,
Քանզիսա քյանլու շղթարա!
Ամենց զբութա ձամակո,
Քյանլու զայտական մայրա!

მეითხელიც დაინახავს, რომ ეს ლექსი ძლიერ
ხელოვნურად არი ნათარგმნი. მუსიკა და რითმი ორი-
ვეა დაცული. რაღანაც მუსიკის გაცლენა მიუცილე-
ბელი ყოფილა, ის არა ჰქომია, ჩვენებური სახით,
კარგის ლექსით შემოსილი შევიძინოთ უცხოეთის
და რუსეთის მუსიკური საუნჯე.

၃. မေတ္တနာင်းဆွဲခြား

ପ୍ରକଳ୍ପିତ



ପୁଅଲ୍ଲିଗୁଣାତ୍ମିକାଙ୍କ ଶରୀରକାରୀ

‘ନେହାତିର’

სა-უოგელ-წლილეო სურათოვნია სამძღვალო ქურნალი
(დასასრული *)

३५०

(କୁଳକ୍ଷେତ୍ରର ପାଲାଙ୍ଗା ୩. କ୍ଷେତ୍ରିକୀୟରେ)

II

ამ ბალადას, რომ თეალი გადავაელოთ ერთს
ნამდვილს მოკლენას დაეინახავთ, რომელსაც დღესაც
ყოველს ნაბიჯზედა ეხედავთ ჩვენს უშეცარს საზოგა-
დოებაში. მს გახლავსთ ცრუ მორწმუნეობა სხვა-და-
სხვა მაცდურებებზედ. რამოდონათაც ეს მოკლენა
სინამდვილეს მოკლებულია, იმოდენათვე მართალია
ხალხისა შეხედულობა სხვა-და-სხვა მაცდურებებზედ.
აზრი და შეხედულობა სრულიად ნათლად არიან და-
ხატულნი ამ ბალადაში, მაგრამ ორს ნაკლულოვანებისა
ეხედავთ, ესე იგი, ეს ავტორი მოკლებულია პოე-

*) ინდუ 〈თეატრი〉 № 2.

ტიურს ხელოვნებას და ძალ-და-ძლივით წარმოადგინა
რითმების წყობილება; მოკლეთ რომ ყსის ქათი და
დათ პოეტობს», თუმც ჩენის აზრით უკეთესი იქნა-
ბოდა, რომ პროზით ეწერა და ტყუილ უბრალოთ
ამოდონა ღრო არ დაეკარგა რითმების სწორებით.
შ. მგოლანი რითმს აზრსა სწირავს და ეს ჩენის
აზრით ღილი წევდომილება.

(ბესო ოსური ლეგენდა ანასტ. ერისთავისა) მანდილოსნის მოღვაწეობა სალიტერატურო ასპარეზ-ზედ, ისიც ჩვენს ქვეყნაში, მეტად დიდათ და დიდათ სასიამოვნო მოვლენაა, მით უფრო, რომ ჩვენს ლი-ტერატორებს უკუღმა აქვთ მომართული ჭკუის სიმე-ბი და როგორც მყელი კრაის ისე უყურებენ ერთმა-ნერთს. მით უფრო საყურადღებოა ანასტ. ერისთა-ვის მოღვაწეობა, რომ კველას მხრივ დაკამაყოფილე-ბულია იმის საყმაწვილო სტატია. რომელ მხარეს აიღებთ რომ სრული არ იყოს: იდეია, სინამდვილე, ხელოვნება სამაგალითო და ენა სრულიად ეთანხმება თავის პედაგოგიურს დანიშნულებას. ღვერთმა ჭავას, რომ ჩვენმა „ქარათშუტა“ ახალ-გაზედა ქალებმაც ამ გვარი პირებისაგან მაგალითი აიღონ და პედაგოგიურს საქმესაც ხელი მოჰკიდონ; მგონია, რომ საკმარისია მიჯნურობაზედ ბაასი.

(ჲაკაბაძე). შპპი აბასის საქართველოში შემოსულის დროიდამ. ა. ახნაზაროვისა). საერთოთ ამ ჰატარა ავტორზედ შეევიძლიან ესთქოთ, რომ ნიჭიერება ეტყობა პროზის წერისა, რომელიც «ჲაკაბაძე»-ს შეუძლიან გვიმოწმოს, თუმცა როგორც ეტყობა გონებითი განვითარებით კი ჯერ შორს ვერ წასულა. თუმცა მცირედი სტატია უფლებას არ გვაძლევს რამე მარტივი აზრი შევადგინოთ, მაგრამ მაინცა-და-მაინც ეტყობა, რომ ბუნებითი ნიჭის მოკლებული არ არის და თუ ამასთან გრძნობას არ გაჰყეა, არ გაერთო და გონება გაიხსნა, უკეცელია თავის დროზედ მიახწევს თავის განძრავებას და ჰატიოსანი კაცის დანიშნულებას. კიდევ გაუმეორებთ, ბ. ახნაზაროვს, რომ ურიგო არ იქნება, რომ ჯერ ხანობით წერას თავი დაანებოს და ჰკუის საზრდოს მასალა შეიძინოს, რომელიც ბოლოს უფრო კანონიერს ნაყოფს მოუზანს.

(სამი ქმა. ლეონ პლადელის მოთხრობა, ფრანგულიდგან, მაროსი). მს მოთხრობა ლეონ პლადელის კალამს ეკუთხის და უფლებაც არა გვაქვს ამ შემთხვევაში ეჭვი შევიტანოთ, რომ რაიმე სინამდვილეს იმის მოთხრობა მოკლებული იყოს. ამ მოკლე საყმაწვილო სტატიაში სრულიად დაცულნი არაანორივე უმთავრესი პედაგოგიური კანონი, რომელზედ

ბავშვი უნდა აიზარდოს, (индуїція и дедукція), ესე იგი, ახლოდგან შორს საენებზედ გადასელა, გაცნა-ბილიდგან—გაუცნობელში; მხოლოდ აქ პედაგოგის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ცოლნა იმ კანონისა, რომ აწონით, ბავშვის ბუნებისამებრ. აი ამ მოთხრობაში თქვენ შეხვდებით ყოველივე ამ პედაგოგიურს კანონებს დაცულთ და მშვენიერს სურა-თებს; ყოველივე ამას რომ ზედ დაუმატოთ ნიჭიერი მთარგმნელი (მარო), რომელსაც სრულიად ჩვენის ბავშვების ხასიათზედ დაუყენებია—მშვენიერი ცოცხა-ლი და კაფიეთი ენა, ერთი სიტყვით ეს სტატია ყვე-ლასფრით სრული და სავსეა.

(წყალი და მისი თვისებანი აღ. მირიანაშვილი-სა) ამ ფილოსოფიურს ტრაკტზედ არას ვიტყვით, რადგანაც სრულიად უადგილოა ამის ამ ჟურნალში დაბეჭდა. ნუ თუ შესაძლებელია ათის წლის ბავშვის გონიერისათვის არქიმედის თეორიის შეთვისება? ჩვენის აზრით სრულიად უადგილოა ამ გვარი სტატიების ბეჭდა.

მ. გავრცელება.



ფ ე ლ ტ რ ი

*

მიუვარსარ, თლაზნის სევო,
მინდვრიანთ და ტერან;
ბაგედ შეგრუდო მთებითა,
ზედა-ზედ ჭალებიანო.
გამოვალ დიდათბითა,
თვალი შენკე დამრჩებიანთ:

ჩამოუთოვდავ ქედები;
დაბლა ტექ, მთების ძირები
სრულ ნისლებს დაუჭრია
გაღმა ალაზნის პირები,
სისხლის ზღვაშით გამოჭრუს

შზე ეინვით ანატირები!
სამერას რთვილი დაუდევა,
მინდვრები აა ხრდებიან;
ბალაში მიწას გაერთვის,
ხელი გაშიშვდები ს.

წაგა, გაივლის ზამთარი
ისევაც აუგადებიან.

გნახაგთ, რო ჩირთი შემოჩნდეს,
ხევ-ხევში ზვავი ხუდეს;
შინდლრი ამწანებული,
ათას ნაირად ღუდეს;
მდინარე ადიდებული,
აქავებული ღმუდეს.
შემოჭიდვიგებს მერცხალი,
მერცხალს მოჯებება გაგული,
ისრიგაც გაითურცლება
ბარათაშვილის სუმბული;
აა, ენძელა მოგვიფლენ,
გარდზედ დაჭმას სულბული!
ბუნება აცამს და ჰცარცავს
უკლას ღრას შესაივრადა:
ხან ააუგავებს მთა-ბანსა,
ხან დაჭელებს ისევ მტკერადა;
ახლა თოვლისას ჩაიფრმს,
ეინულს დაიდგამს გერადა.
ზამთარი, მოდი და გებლა
დასჭენე, ფერი უცვებლე!
მომძაგდა ერთ-სასერაბა,
რთვილი ქარ-ბუქით შეცვალე;
ადუღებული გუნება
ეინვის სასმილით გამსჭიალე.

ბაჩჩნა.

საზრაო აღგილი

(დასასრული *)

საბრბლო იყო დარეჯანას მდგომარეობა. იგი ეხლა დარწმუნდა თავის დანაშაულობაში. რა ეშმაკ-მა მომიქცია მხარი, ფიქრობდა იგი, რომ მე ამ შეცს მივეცი დესპინე. მაი, შეილო დესპინე! როგორ გაიყინები შენი პაწაწა სრმონითა. შეილო, შეილო! რას გემართლებოდი?.. ღმერთო! შეხი რატომ არ მოსტებე ზოგიას? რატომ არ დაუდუნე ენა! როგორ შამომეტყუა, თქვენი ჭირიმე! ნეტავი მაინც არ მოსულიყო იქიდამ ცოცხალი!.. რა ჩემმა ცოდეამ მოიყვანა ეგ არამზადა? ნეტავი რით ეშველება ჩემ დესპინეს?.. რატომ იქ არ მოკვდა ეგ შავ-დღიანი ჩემის ცოდეით? რას მემართლება ამ ჩემ სახლში. მა,

*) იხილე „თეატრი“ № 3.

დმერთო დაშბადებელი! მაგას ნუ გაუთენებ ხეალინ-დელ დღეს! ნეტავ გზაზე მაინც შემოკლომოდა ვის-მეს იმ მადლიანს... ამ მოფიქრებამდი, რომ მიაღწია დარეჯანას თავში გაიელა ბოროტმა აზრმა, შეიძლება ამ ოთხმცის წლის ქალს პირეელად გაეტარებიოს თავში საზარელი ბოროტ-მოქმედება. მან მიაჭირა ჩალრმავებული თვალები კედელს, სადაც ახლად გა-ლესილი ცული ლაპ-ლაპებთა სარეკსავით. ისკოთი ამ დროს გულის ძილში იყო. დარეჯანამ განიზრახა ამ ცულით ისკოთის ბოლოს მოღება. იგი კიდევ წა-მოდგა და გაეშურა კედლისაკენ, მაგრამ მუხლები ჩაეკეცა და ხელები არ დაემორჩილენ ცულის ჩამო-სალებად. დარეჯანამ მიიფარა თვალებზე ხელი და მის მოხუც დამჭერა ლოყაზე ჩამოცურდა წვერი ცრემლისა; ერთს მეორე მოჰყა, მეორეს მესამე და შემდეგ ცრემლი გრძმოეშვა წერიალით. დიალ! და-რეჯანა სტიროდა, მაგრამ ეს ტირილი სრულებით არ იყო წარმომდგარი სინაცულისაგან. ის იყო ნამყო-ფი მეტის მეტი ჯიბრისა. იგი სტიროდა თავის უძლუ-რებაზე. დარეჯანა გამოვიდა გარეთ, ჩუმათ შეუარა გვერდი დესპინეს, აკენს და გაეშურა სოფლისაკენ. მარი მძეინვარებდა. მთვარე ანათებდა. დარეჯანა სოფ-ლის ორლობებში მიეშურებოდა.

არ გაუვლია ნახევარ საათს შემდეგ დარეჯანის წახლისა, დერეფანში ფეხი შემოსდგა ზიორები. მან გარდაავლო თვალი იატაკზე საცოდავად დაგდებულ დესპინეს და აკენს, რომელსაც ქარი თავისებურად არწევდა. ამ სურათის დანახებით, ზიორების რალაცამ უეცრად თვალებში ჩაუელვა და მთელ ტანში ქრუან-ტელმა დაუჩინა. იგი დაუყონებლივ შევარდა სახლ-ში. რამოდენიმე წნის შემდეგ სახლიდამ გამოისმა სა-ზარელი კივილი ძალად მოკლულისა.

მეორე დღეს დილა აღრე მამასახლისი გაჩნდა მკლელობის ადგილზე. მან უმაღლეს მთავრობასაც გააგებინა ეს შემთხვევა. შეიყარეს თავი. მჭევი რასაკ-ურვეელია შინაურებზე იყო. პითხებზე გამომძიებელს ბებია დარეჯანამ არავითარი პასუხი არ მისცა. ხო-ლო დესპინე ყოველ კითხვაზე: «არ ვიცის» იძახდა. სოფლელები მღელვარებდენ და გაიძახდენ: «ეგ კუდიანი დარეჯანას საქმეა! ამ დროს გამომძიებელ-თან მოვიდა ზიორები და მოახსენა:

— მკლელობა მე ჩაეიდინე, მაგათ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. რაც შეეხება მიზეზებს ამას თქვენ არ მოგახსენებთ.

საქმე გამოაშკარავდა. გამომძიებელმა დარეჯანას

და დესპინეს თავი დაანება: არ იცნო იგინი და და ვედ, იგი კმაყოფილდებოდა მარტოკა ზიარებით! მაგ-რამ გამოჩნდა ავი ენა, რომელსაც იმ ლამეს დაენახა დარეჯანა ზიარებისთან მიმავალი. ამის გამო გამომ-ძიებელმა ქალებს ისევ მოუჭირა ხელი, იცნო იგინიც დამნაშავედ და კველინი წასხა ციხეში; აღარც პაწა-წა სიმონიკა დაუტოვებიათ, ვინაიდგან სახლში აღ-რავინ ჩიებოდა. იმავე გამომძიებელმა გამოიყეტა სახ-ლის კარები და მიბეჭდა ლაქით.

188... წელსა, შუა მარტში, შუთაისის ოლქის სასამართლო იქსებოდა ხალხით, ზოგი კარებებთან მოგროვილიყვენ, ზოგი ფანჯარებს მისევოდენ. სისხ-ლის სამართლის ზალა გამოტენილი იყო მაყურებ-ლებით. დღეს ირჩეოდა ძნელი საქმე «ქმარის მკვლე-ლობა». დამნაშავენი სკამზე ისხდენ ორი: ერთი ქა-ლი და ერთი კაცა. მკითხველი რასაკერელია ამათ ორთავეს იცნობს; კაცი გახლავსთ ზიორები და ქალი დესპინე. საბრალო დესპინე! ისევე ზიორები სჯობდა, უფრო მარჯვეთ იყო. მას უფრო არ დაშენეოდა ბეჭედი ტუსალობისა. დესპინე გათავებულიყო. მას ადამიანის სახე აღარ ჰქონდა. იგი თითქმის მიცვა-ლებულს ჰგავდა, ისე დამჭერარი იყო: თვალები ჩარლ-მავებოდა, ცხვირი მეტის-მეტად გაწვრილებოდა, ნი-კაპი წინ წამოწეოდა. ერთი სიტყვით მისი სურათი წარმოადგენდა აღამიანის ფხას, თაფლის სანთელში ამოვლებულს. იგი საცოდავად არბენდა საგნიდამ სა-განზე თავის ჩალრმავებულს, ერთხელ მშვენიერს, თვა-ლებს; ხან წითელ სტოლს მიაცერდებოდა, ხან მთარ-გმნელს, ხან ხალხს. მისი გამოხედვა იყო გამოხედვა უგნურისა, ჭიაზე შეშლილისა. მას ვითომ ფიქრი უნდოდა, მაგრამ ტვინი არ ემორჩილებოდა. ამისა-თვის პირველივე შეხედვით შეატყობით, რომ მას უკვირდა თავის მდგომარეობა. შამოვიდენ მსაჯულე-ბი, მათ შემოჰყაოთ მდივანიც და დაიჭირეს აღაგი. ამათმა შამოსელამ სულ გააოცა საბრალო დესპინე, იგი გაშეშდა სკამზე. მეღარც წამოდგა, თუმცალა მთარგმნელმა ორჯერ უთხრა ამდეგარიყო მსაჯულების გამოსვლაზე. თაესმჯდომარემ ჩვეულებისამებრ ჰკითხა მთარგმნელს.

— დამნაშავენი ხომ კველანი აქ არიან?

— აქ გახლავან გარდა დარეჯანა დედა ბერისა, რომელიც სატუსალოში გარდაცელილა. ამას გარდა მომკვდარა ამ ქალის პატარა ბავშვიც სეიმონი, უპა-სუხა მან.

— ჩაყენეთ ქალი! დასძინა თავმჯდომარემ. დეს-
პინე წამოაყენეს.

— სცნობ შენს თავის დამნაშავეთ თუ არა?
კითხეს მას.

— არ ვიცი? წაილულლულა საცოდავად დეს-
პინემ.

— შენ მოჰკალი შენი ქმარი თუ არა? განუმეო-
რეს მას კითხვა.

— არ ვიცი.

— შენ სად იყავი იმ ღამეს?

— არ ვიცი!

შოველს კითხვაზე დესპინე ამის მეტ პასუხს არ
აძლევდა, მსაჯულებმა გაიღიმეს. უნიტ ხალხშიაც
ნელი სიცილი ატყდა. მხოლოდ როდესაც ყველანი
დაწყნარდენ ზალაში გაისმა გაჯავრებული ზიორგის
კბილის ღრძენა. რა უნდა ექმნა საბრალოს? თავს
ზევით ღონე არ ჰქონდა. თავმჯდომარემ ნება მისცა
დესპინეს დამჯდარიყო. წამოაყენეს ზიორგი, რომელ-
საც იმავე კითხვით მიმართეს:

— სცნობ დამნაშავეთ თავს თუ არა?

— ფია! მე მოვკალი! უპასუხა მან.

— თქვენ გვითხავენ, სცნობთ დამნაშავეთ თავს
თუ არა?

— მე მოვკალი! ბაიმეორა მან.

— მისმა ცოლმა მიიღო მონაწილეობა თუ
არა?

— არაეითარი.

— ვინ გეხმარებოდა ამ საქმეში?

— თქვე დალიცვილებო! რა საჭიროა ამო-
ლენი კითხვები? ვინ მომექმარებოდა, ან რა მომხმა-
რე მინდოდა? მე მოგახსენეთ და გაეთავე; ამ ქალის
ქმარი მოვკალი მე. მიზეზს თუ იკითხავთ შემდეგი
გახსლავსთ: მე და ავს გვიყვარდა ერთმანერთი, იმან
მომტაცა და ჯვარი დაიწერა ძალით, მოტყუებით,
და ამიტომაც მე მოვკალი იყი. ამ ქალის ცოდ-
ვაც მე მქონდეს და იმ მოკლული კაცისაც,
თუ ამას სცოდნებოდეს რამე. სირცეილი არ არის,
ასე უბრალოდ აღამიანის წამება?

— ზრდილობიანად მოიქცი, აგრე ნუ ლაპა-
რაკობთ თორებ დაისჯები შენიშნა თავმჯდომარემ.

— მეტი დასჯა განა შეიძლება, ერთს თხას
ორჯერ არ ტყვებენ, მე მოგახსენებთ, რომ ამას ბრა-
ლი არა აქვს, ტყვილა ნუ სტანჯავთ.

— შენ ილაპარაკ მარტო შენს თავზე, შენიშ-
ნეს მეორედ.

— ჩემს თავზე მე საკმაოთ მოგახსენეთ. ამ
სიტყვებით ზიორგი დაჯდა და აღარც ამდგარა, თუმ-

ცა ბევრჯერ უბრძანეს ამდგარიყო, მაგრა მისა ჯერ
ტომამ აჯობა.

დიდი საჭირო არ არის მოვიკეანოთ აქ დანარ-
ჩენი მოწმების ჩერებები. შეელა მოწმებში შესანიშ-
ნავი მხოლოდ ზოგია იყო. ჩერებან ცნობილი ზო-
გია — მამა იაკოფისა. პი დაახლოებებით იმის ჩერე-
ბაც.

— მე თქვენი ჭირიმე, ამ საქმის შესახებ ბევრი
არა ვიცი-რა. დავიღუპე კაცი, ამოვარდი. მაგ შეჩე-
ნებულმა მომიკლა სამეფო შეილი, ჩემი ლუკის
მეტეველი. თავიდმევ ვიცოდი, რომ შეჩენებული
დარეჯანას მოყვრობა მე არ გამომადგებოდა. ის
ცოდვით იყო გატენილი ყელთამდე. მუდიანი იყო,
თქვენი ჭირიმე! შოველი უბედურობის მიზეზი ის იყო.
შამამიჩნდა: «მაინცა და მაინც ჩემი შვილი-შვილი შერ-
თე შენს იაკოფს!» მე პირველად ვერიდებოდი,
მაგრამ დღეს, ხეალ, ზეგ და ბოლოს ჩემმა ეშაკე
მომიქცია მხარი, მერმე იმ სულ წაწყმედილს პატარა
ფული და მამულიც ქონდა. არ მინდოდა, დმერთო
ხო შენ იცი! ბამახვიდეს ამ ბოროტ საქმეში; წაწყმი-
დეს სულითაც და ხორცითაც, მომიკლეს ისეთი შვი-
ლი... და სხვა ამ გვარებს ცისას და ბრისას ბოლავ-
და ზოგია. მსაჯულებმა და თავმჯდომარემ მისცეს,
რამოდენიმე კითხვები, რომლებზედაც ზოგია ასეთ-
სავე პასუხს აძლევდა. უკანასკნელად თავმჯდომარემ
მიმართა ზიორგის:

— შენ რას იტყვი ამ მოწმის ჩერებაზე.

— შეელაფერს მართალს მოგახსენებსთ. უასუ-
ხა ზიორგიმ და არ განძრეულა სკამიდამ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ. ბასამართლების
მწერები გავიდენ ზალიდამ და მცირედ ხანს იქეთ
განახენიც გამოიტანეს: თორმეტის წლის კატორდა
და საუკუნო ციმბირი ზიორგის მიუნიჭეს, ათის წლის
კატორდა და საუკუნო ციმბირი დესპინეს.

— მადლობა დმერთ! წაილულლულა ზიორგიმ,
მართალთან მეც დივისაჯო.

შეკრულება

სოფელს ზემო-პრევეთში ერთს პატარა გზა
წერილს გადმოჩერებია ფიტრული, კარგათ ვრცელი
სახლი. ამ სახლს ღობე დასძველებია და ჭიშკარიც
წაქცევია. მთელი ეზო გარდაფარულა კაცის სიმაღ-
ლე ანწლით და არც ერთი გზა წერილი არ მიღის
სახლისაკენ, არც გამოდის იქიდამ. ბევრს რამეს ამ-
ბობენ ამ სახლზე ზემო-არგვეთელები. მოგახსენებენ,
რომ მაში ბევრი უცნაური მკვლელობა მომხდარა.
(თითქმის ათამდე ჩამოსთვლიან), რომ წელიწადში

სამჯერ აქ შეიყრებიან უკელა ქვეყნის კუდიანები, და ჩონგურზე ფერხულს დაბმენო. ისეთი პირებიც აღმოჩნდენ, რომლებიც ლამით წასწრებიან კუდიანების ლინის და რამოდენიმე დედა-ბერი კიდეც უცვნიათ კუდიანებში არეული. მოგახსენებენ კიდევ, რომ ამ სახლში კერის ადგილს ამოხახახებს სისხლის წყარო, რომლითაც კუდიანები წყურვილს იკლავენ. მს წყარო ვითომ მოაღწევს საძირკვლამდე და მერმე ვარდება მიწაში. შიგ ვერავინ შედის, რადგანაც კარები დაბეჭდილია. მს გახლავსთ ბებია დარეჯანას სახლი, მართლა მიბეჭდილი ხუთი—ექვსი წინად და მიყრუებული, ეხლა ჭორის ადგილად გარდაქცეული. სოფელი ამ არემარეს უწოდებს „ნაზ-რახ ადგილად“ და ყოველი კაცი სცდილობს ასცილოდეს ამ ადგილთან ღამე გავლას. მხოლოდ ამ სახლთან თვეში ერთხელ გაიღლის ხოლმე ერთი მოხუცებული, მთლად გათეორებული, წელში გარდაღუნული კაცი. ზაივლის, გულზე ხელს დაიბრაგუნებს და იტყვის: „ვაიმ! რა ადგილი დამძრა ხელიდამ და რა შეილი მომიკლეს!“ მს გახლავს ჩვენი მოგია.

რ. აღისუბნები

თეატრი და მსახიობები

ქული, საშუალო და ასაფი დროისა.

(დასასრული *)

საშინელი იყო მაშინდელი თანამედროვე მსახიობის ცხოვრება, მეტადრე იმათი, რომელნიც სხვა-და-სხვა ქალაქებში მოგზაურობდენ; მით უფრო შესაბრალისნი იყვნენ ისპანიელი მსახიობნი, რომელნიც შშიერ მწყურვალნი, შიშველ-ტიტველნი ქალაქის ქუჩებში დაიარებოდენ და ზოგჯერ ისე მოხდებოდა ხოლმე, რომ ყინვა, სიცივეში ღამე კარში რჩებოდენ, დეთის სინაბარა. სეგუსტინა-დე-ლა როკი შემდეგ საყურადღებო ამბავს მოგვითხოვთ, (გასართობს მოგზაურობაში) რიოს ვალენტინებან უბლაშიოთ დაბრუნების შესახებ, რომელსაც თავის მეგობარი აცილებდა; პირველი ამ ნაირად ემდურება თავის ბედს: «მეტის-მეტი უბედურება გვეწვია, მე და ჩემს მეგობარს, როდესაც იმ სიმძიმე ბარგის ტარება ზურგით სატარებელი გაგვიხდა, თუმც ერთი მაღლიანი კაცი შეგვხ-

და, რომელმაც მცირედი მანძილი გაატარებულ მოლოს იმანაც თავი დაგვანება და დაუტრით უნუგე-შოთ. საღამოს ქამს, დაღალულ-დაქანულები, ერთს პატარა ქალაქში შემოვედით და დასადგომი ბინა ესთხოვეთ, მაგრამ უარი გვითხრეს და ზედაც დაუ-მატეს, რომ ამ ქალაქში ბინას ვერსად ვიშვოვთ, რადგანაც უქმეაო; მით უფრო სამწუხარო იყო ჩვე-ნი მდგომარეობა, რომ ჯიბებში სულ რაც სუ გვქონ-და. მრთი უკანასკნელი საშუალება-და გვრჩებოდა, მოტყუებით გვეშოვნა ბინა, საღაც ღამე გავ-ვეტარებინა. სასტუმროში წაველი და უთხარი, რომ ვაჭარი ეარ და ზღვით სავაჭროს მოველი, (მართლაც და ცოტა არ იყო წავაგვანდი კიდეც ვაჭარსა). მოესთხოვე ოთახი და ვაჭამი, შემ-დეგ წაველი და ალკადს გამოუცხადე ტრუპის ქა-ლაქში მოსვლა, მე და ჩემა მეგობარმა წარმოდგენა გაემართეთ და შემდეგ სასტუმროში დაგრძელდით; სასტუმროს პატრონს ოთახის გასაღები მოესთხოვე და გამოუცხადე, რომ სავაჭრო მომიერდა და მინდა ოთახში დავაწყო მეთქი. შევეღით, ოთახიდამ ბარგი გა-მოვიტანეთ და როგორათაც ქარი ისეთის სიმარტით გაუდექით გზასა. თქვენ წარმოიდგინეთ ჩვენი შიში და მოტყუებული სასტუმროს პატრონი, მაგრამ ვა-ჭირება რას არ აქნევინებს კაცა. ვირბინეთ, და ვინ იცის რამდონი მინდოორი და წერიმლინი ტყეები გა-ვირბინეთ; ბოლოს როდესაც დავრწმუნდით რომ ში-ში აღარსაიდგან მოგველოდა, დაისვენეთ და ჩვენი ქონება დაეთვალეთ, გამოჩნდა, რომ სულ სამ ნახე-ვარი რეალი გვქონდა.»

მეორე ქალაქში რიოსმა და სალონმა წარმოდ-გენა გამართეს და „„მანი და ბბელი“ ითამაშეს, მაგ-რამ ისე უხეიროთ მორთეს სცენა, რომ მაცქერალებ-ზედ ცუდი შთაბეჭდილება იქონია, რადგანაც გამო-პარეის დროს დიკორაცია იქ დარჩათ: ყველა ამას, რომ ზედ დაუმატოთ ის გარემოება, როდესაც მანი აბელსა ჰკლავს, მსახიობი მივარდა მოსაკლავად, მაგ-რამ მხოლოდ მაშინ მოგონდა, რომ დანა სასტუმ-როში დარჩა და გაშტერებულმა მხოლოდ ერთმა-ნეთს ყურება დაუწყეს და უმოძრავონი დარჩენ. მაც-ქერალნი გაჯავრდენ, დაერიენენ საბრალო მსახიობთ და სულ ცემა ტყეპით გამორეკეს თეატრიდგან. საბ-რალონი, გულის ფეთქებით გამოიქცნენ და ყველა-ფერი ბარგეულება იქ დარჩათ, მხოლოდ ხუთი რეა-ლი-ლა შერჩათ ხელში. მსე ამ ნაირათ ტანჯევით ატა-რებდენ თავიანთ ცხოვრებას და მაღრიელი კი არაენა ჰყენდათ. აი, ამ ნაირი იყო მოგზაური მსახიობთა ბედი. მაღრიდში, სევილიაში და ტოლედში მსახიობ-

*) იხილე „ზეატრი“ 1885 წ. № 18.

ნი მატერიალურად სრულიად დაკმაყოფილებულნი იყენენ, მხოლოდ რაიცა იტალიელებს შეეხებათ, რომელნიც ისპანიაში თამაშობდნენ, ისინი ხომ თითქმის დამდიდრდენ.

ათას სამას ცხრას ლოპე დე ვეგა პიესის დაღმის წინააღმდეგ ასდგა, თავის დრამატიულს თხზულებაში (ახალი დრამატიული ხელოვნება,—Новое драматическое искусство) იმას უკვირს, რომ მაყურებლები როგორ ითმენენ, როდესაც სპარსელს და სომებს ისპანიულს ტანსაცმელში ხედავს. თავის პრალოგებში აეტორი უჩიეს მსახიობთ თეატრში შესვლის მომატებას: «როდესაც ერთი რეალი იქ, მაშინ უველანი დალიოდენ თეატრში, დარბაზი სახეე იყო ხოლმე, მაგრამ რაც ფასი მოუმატეს, ხალხიც მოაკლდა. თუ მაცერალთ ეგ მომატებული ფასი გადაიხადონ მშიერები დარჩებიან და თუ სულ არ წავიდენ მაშინ მსახიობნი დაიხოცებიან მშიერები.

რა საჭიროა მაისში, ინისში და ივლისში თამაშობა? წინათ ღვინობის თვე სრულიად დაჰფარავდა ხოლმე გასაყალს. როდესაც გვიან-გვიან თამაშობდენ უფრო მეტი ხალხი დადიოდა. მსახიობნი თამაშობდენ უკეთესათ და პიესები უფრო საყურადღებონი იყენენ ხოლმე.

საერთო წასრულს საუკუნებში ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევდენ დასავლეთი მეროპის ხალხი, გარდა იტალიისა, რომელიც დღესაც პირველი ფართო ადგილი უჭირავს თეატრალურს ხელოვნებაში. დიალ, მეტად სამწუხარო იყო ძეველ დროს და ეხლაც თეატრის და მსახიობთა ბედი, თუმცა ისინი კი არიან პირველი მასწავლებელები კაცობრიობის ზნებითი წინ წასასეფელათ. თეატრი და მსახიობი ისეთავე საჭიროებას შეადგენს კაცისათვის, როგორც წყალი და პური. აი, ეს ყოველივე რიგიანათ ესმოდათ იტალიელებს და ჯეროვან ფართო ადგილს აძლევდნენ ამ საზოგადო მოღვაწეთ; ამიტომაც ხელოვნებამ მკვიდრი ფესვები გაიღა ამ ხალხისნობაში და ბევრი ნიჭიერი პირნიც შექმატა.

ნარევი

გამოცხადი

1

ერთი რამე სურიელი,
აზეს ბრთლის დანადანს;
სამ გვირესა და სამ დღესა,

გამოცხანს განამეცდანსა.

ერთ გამოცხადა
გამოცხადა.

2

ავსადე ფირფიტებას —
დაგედე გზა-წითელასა.

3

ერთი რამე სურიელი —
შორის დამკრტი გარდისა,
ჯერეთ ღვთის მოსამსახურე,
მერე ურველი გაცისა.

4

აბანოელი ბატები,
აბანოს ეპანებოდა.
მისი ნასკამა, ნაჭამი
ხემწიდეს ეგადრებოდა.

5

ავიარე ავლასალ,
თხა დაეკლა თავლასალ.
ხერცი გათხოვე ქებითალ,
გამამიდგა ქებითალ,

6

ასიუსას მთაზედალ,
ბუ შემოჯდა ქაზედალ.
მოუქნიე მუჭუტუნი,
შემოგვარი უბაზედალ.

7

კრიჭი-კრიჭი კრიჭინასალ,
მგდარი ცოცხალს იჭირავსალ.

9

თავს ხერხი,
ბოლოს ნამგალი.

10

ერთი რამე გნახე, შეთამართოდა ინტერ
ეშმაგისა სახე.
ზეგით-ზეგით დადიოდა,
მარს დაეგო მახე.
წვრილი ჩიტი გაბმულიე
ჩემი თვალით გნახე.

გ ა ბ უ ს ლ ე ბ ი ბ ი

საქოველ-კვირათ ლიტერატურული და მხატვრობითი განეთი

„ОБРАЗОВАНИЕ“

აიღვება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიურცე განეთი, „ОБРАЗОВАНИЕ“-სა იგვე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„ОБРАЗОВАНИЕ“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაშით

ფსია „ОБРАЗОВАНИЕ“-სა: წლით როგორც ქადაქია, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის დირს ხუთი (5) მანეთი, ნახვასის წლით — სამი (3) მანეთი. სხვა გადიოთ ხელის მოწერა ან მიაღება.

მარტი 1886 წლიდამ აპარატ მერიოლი დამაუკიდებელ მანებილებას მიაღება.

ხელის მოწერა მიიღება „ОБРАЗОВАНИЕ“-ს რედაქციაში; აღრესი: თიფლის. Въ редакцію „Театръ“.

ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ О ПРОДОЛЖЕНИИ ВЪ 1886 ГОДУ СВѢЩЕДОСТУПНАГО ЖУРНАЛА- ГАЗЕТЫ,

„БЛАГОВѢСТЬ“

Выступить въ провинции на поприще такой литературной деятельности, которая, доставляя общедоступный и назидательный материал для чтения, служила бы религиознымъ и патриотическимъ интересамъ нашего дорогого отечества—России,—дѣло не легкое, чтобы не сказать много-трудное, среди того фальшиваго положенія, въ которомъ очутилась русская интеллигентія, благодаря давней среди насъ враждебной пропагандѣ. Проявляя уже молчаниемъ мѣстная дрязги, мы не можемъ не отмѣтить и другой трудности существовать въ провинціи такому изданию, какъ, напримѣръ, журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“. Наша всероссийская отычка отъ серьезнаго чтенія и пристрастіе къ этому пустому „легкому чтенію“ испортили вообще у насть вкусъ къ чтенію; изданія же, ратующія за интересы Православія, Самодержавія и Русской народности, среди органовъ фальшивой печати на Русси,—изданія подобныя „БЛАГОВѢСТУ“, заслуживають полнаго вниманія всѣхъ сыновъ отечества. Не смотря, однако, на трудность своего настоящаго положенія, журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“, въ сознаніи своей благовременности и полезности будетъ съ Божію помощью издаваться и въ слѣдующемъ 1886 г. т. е. ЧЕТВЕРТОМЪ уже со дня своего начала. Уповаемъ, что настанетъ время, когда притихнутъ въ Россіи иноземщина и иновѣрщина, когда згинетъ этотъ русскій либерализмъ т. е. всеобщая наша распущенность, а пока.... мы находимъ нужнымъ bla-

говѣстить о Православно-русской и вѣрноподаннической правдѣ и чуждой кривдѣ на святой Руси:

Программа нашего журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“ и на слѣдующій годъ остается прежняя:

I. Обозрѣніе текущей Церковно-общественной жизни въ Россіи и за-границею, въ ея современныхъ проявленіяхъ, мѣропріятіяхъ и пр.

II. Корреспонденціи о замѣтельныхъ почему-либо новостяхъ и событияхъ въ области духовно-нравственной.

III. Очерки, разсказы, жизнеописанія, путешествія, краснорѣчіе, церковная старина, стихотворенія и пр.

IV. Обозрѣніе современной печати, отечественной и иностранной, по вопросамъ духовно-нравственнымъ, рецензіи книгъ и т. п.

V. Отвѣты редакціи и объявленія.

Журналъ-газета „БЛАГОВѢСТЬ“ будетъ выходить по-прежнему два раза въ мѣсяцъ, въ объемѣ отъ одного до двухъ листовъ. Цѣна за годовое изданіе ПЯТЬ руб. сер., съ доставкою городскимъ подписчикамъ и съ пересылкою иногороднимъ, а за полугодовое ТРИ руб. с. Розничная продажа по 20 к. с. за №. Объявленія для напечатанія въ журналъ-газетѣ „БЛАГОВѢСТЬ“, оплачиваются по 8 коп. сер. за строчку петита.

ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА ПОДПИСКОЙ ПЛАТЫ, ПО СОГЛАШЕНИЮ СЪ РЕДАКЦІЕЮ.

Редакціи журналовъ и газетъ, которыхъ пожелаютъ обмѣниваться съ Редакціею журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“ какъ своими изданіями въ 1886 году, такъ равно и перепечаткою у себя объявленій объ изданіи на 1886 годъ, благоволять заблаговременно уведомить о томъ Редакцію „БЛАГОВѢСТЬ“, а равно перепечатать у себя настоящее объявление нѣсколько разъ, до и послѣ новаго года.

Подпись на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЬ“ принимается исключительно въ г. Харьковѣ, въ Конторѣ Редакціи журнала-газеты „БЛАГОВѢСТЬ“, на Екатеринославской улицѣ, въ домѣ Священника П. С. Мигулина №. 51/16. Контора открыта ежедневно, отъ 9-ти часовъ утра до 4-хъ пополуд. Личные объясненія по дѣламъ

Редакціі могутъ быть ежедневно, отъ 12 часовъ дня до 4 часовъ пополудни.

Всякую переписку просимъ отправлять исключительно на имя Редактора-Издателя.

Думая, что настоящіе наши подписчики возобновятъ свои требованія на журналъ-газету „БЛАГОВѢСТЬ“ и на слѣдующій 1886 годъ, просимъ ихъ распространять наше патріотическое изданіе между своими знакомыми.


Подписка открыта съ 1-го Октября

Редакторъ-издатель Гр. Кулжинскій.

ს უ რ ა თ ე ბ ი

ჩ ვ ე ნ ი პ ე ტ ე ბ ი ს ა დ მ წ ე რ ლ ე ბ ი ს ა

კ ა მ ი ს ა ხ ა თ ე ბ ი
ი ლ ი ს ა ხ ა თ ე ბ ი
86. ო რ ა გ ა ლ ი ს ი



გ ი მ ი ს ი ს ა ხ ა თ ე ბ ი
კ ა მ ი ს ა ხ ა თ ე ბ ი

ჩ ი ნ ე ბ უ ლ ა დ ე ქ ს ა ნ დ რ ა ფ ი ს ქ ა ლ ა დ დ ზ ე დ
მ ს ა ტ ე რ ი ბ ა 5. ბ ე რ ი ძ ი ს ა.

ი ს ყ ი დ ე ბ ა გ რ ა ქ უ რ ა ფ ი ს წ ი გ ნ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი,
კ უ კ ი ს ს ხ ი დ ი ს კ უ რ ა ზ ე, ზ უ ბ ა ლ ი ვ ი ს ს ა ხ ლ ე ბ შ ი
დ ა 0. ს ა ფ ა ნ ა ფ ი ს ბ ა კ ა ლ ე ი ნ ი მ ა ლ ა ზ ი ა შ ი, ბ ა რ წ-
რ უ ნ ი ს ე უ ლ კ ა რ ე ს ლ ა შ ი.

გ ა ნ ც ა თ ს ა 6 მ ე ც ს ს უ რ ა თ ს გ ა მ თ ა მ წ ე რ ს, მ ა-
შ ი ბ ი თ ა თ ს ს უ რ ა თ ი 16 კ ა ბ. დ ა კ ე მ თ ა ბ ა.

ი ბ ე ქ უ ლ ე ბ ა დ ა ჩ ე რ ა გ ა მ თ ა ს
თ ხ ე - მ თ ქ მ ე დ ე ბ ი ა ნ ი ს ტ ი რ ი უ ლ ი დ რ ა მ ს

თ ხ ე. თ. ა პ. ჭ ე რ ე თ ე ლ ი ს ა

ი ბ ე ქ უ ლ ე ბ ა

ჩ ა ღ ა ნ ა ც ე ს ლ რ ა მ ა დ ა ი ბ ე ქ უ ლ ე ბ ა თ ხ ა ს ი
ე გ ხ ე მ პ ლ ი ა რ ი ს ა რ ა უ მ ე ტ ე ს, ა მ ი ტ ო მ ს ა ყ ი ვ ე ლ-
თ ა მ დ ვ ა ც ხ ა დ ე ბ თ, რ ო მ ა მ თ ვ ი დ ვ ე ს ე ლ ი ს-
მ თ წ ე რ ი ს მ ს უ რ ვ ე ლ ს შ ე უ ძ ლ ი ა ნ მ ი ჰ ა რ თ ი ს
« მ ე ტ რ ი ს » რ ე დ ა კ უ ი ა ს.

ი ვ ა ს ი თ ა თ ი შ ა უ რ ი

ს ტ ა მ ბ ა

გ ე ლ ი ქ ი ა შ კ ა ლ ი ს ა .

თ ფ ი დ ი ს შ ი — ს ა ს ა ხ ა თ ე ბ ი ს ე ჭ ე ბ ი . , ა რ წ რ უ ნ ი ს ე ჭ ე ბ ი ს ა რ-
ჯ ა ს ლ ა შ ი , ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ც ტ რ ი ს შ ა კ ე მ რ ა ს ა რ თ უ ლ შ ი .

ი ღ ე ბ ს გ ა მ ე ლ გ ა რ ა ს ს ა ს ტ ი მ ბ ა ს ს ა ქ მ ე ბ ს ს ა ბ ე-
ჭ დ ა ვ ა თ : გ ა ზ ე თ ე ბ ა , წ ი გ ე ბ ა , ს რ ა შ ე რ ე ბ ა , ა გ რ ე თ-
ბ ა მ უ გ ე ლ - გ ა რ ა ბ დ ა მ ა შ ე ბ ა , გ ა ტ ა ნ ტ ი ე ბ ა , ს ხ ი ტ ე ბ ა ,
გ ა ნ ტ რ ა დ ე ბ ე ბ ა , ა ფ ი შ ე ბ ა , პ ი რ ტ ე ბ ა ს დ ა ს ხ ვ ე .
ს ა ს უ გ ე თ ა ვ ე ბ ა დ ა ა დ ა მ შ ე უ ლ დ ა რ ა ზ ე ს ა ქ მ ი ს ა
შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ზ ე ს ტ რ ი ს ა შ ი რ ა ს ა მ ლ ე ბ ს ს ა ქ მ ი ს ა
მ ა მ ტ რ ა ნ ი .

ს ტ რ მ ბ ა გ ი ს რ ე ლ ი ს გ ა რ ე ც ტ რ მ ბ ა ს გ ა ს წ რ ე ბ ა ს
დ ა ბ რ ა შ ე რ ე ბ ა ს გ ა კ ე თ ე ბ ა ს , უ კ ე თ უ ზ ა კ ა ზ ი ს ა
მ ა მ ც ე მ ნ ი ი ს უ რ ვ ე ბ ე ნ .